პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №43

2017წ. "21" 09

ქ.თბილისი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №29 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მეხილეობა (კურკოვანი კულტურები / თესლოვანი კულტურები) (დუალური)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები / თესლოვანი კულტურები)	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 101 სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 66	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 131 სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის - 96	ქართული	14	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი წინამძღვრიანთკარი
2	მევენახეობა - მეღვინეობა (დუალური)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა - მეღვინეობაში	85	115	ქართული	30	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი წინამძღვრიანთკარი
3	მეფუტკრე	მესამე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	72	87	ქართული	30	მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი წინამძღვრიანთკარი
							20	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №8 სხდომის ოქმის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ეკატერინე ნარეშელაშვილი